

ნაირა ბერიძე

Naira Beridze

საქართველოს უნივერსიტეტი

University of Georgia

ქალი, სიტყვა და წინააღმდეგობა:
ბაბილინა ხოსიტაშვილის შემოქმედება ფემინისტური
პერსპექტივით

Woman, Discourse, and Dissent:
A Feminist Reading of Babilina Khositashvili's
Work

DOI: <https://doi.org/10.62119/ir.45.2025.10023>

The early 20th century marks a transformative era in Georgian literature, particularly for women writers who emerged not only as literary voices but also as agents of feminist protest. Babilina Khositashvili (1884–1973), a Georgian poet, translator, memoirist, and activist, stands out as a prominent figure whose work embodies the intersection of literature, gender politics, and social critique. This paper explores Khositashvili's poetic legacy as a pioneering expression of feminist consciousness within Georgian modernism. Drawing on her poetry, autobiographical writings, and publicistic texts, the study examines how Khositashvili constructs a nuanced portrayal of women's lived experiences, motherhood, labor, emotional isolation, and political marginalization, thereby shaping a uniquely Georgian feminist discourse.

Khositashvili's work is characterized by its bold confrontation with patriarchal norms and social injustice. Her poetry often centers on female protagonists – particularly working mothers – whose struggles reflect the socioeconomic conditions of early 20th-century Georgian society. In poems like “The Mother Goes to Work,” the speaker is torn between maternal responsibility and the economic necessity of labor, expressing deep anxiety, psychological exhaustion, and emotional fragmentation. The internal conflict reaches a climax when the mother character voices fears of harm to her unattended child, highlighting the impossible burdens women face within domestic and public spheres. Through emotionally raw and formally restrained verse, Khositashvili foregrounds the mental toll of caregiving under precarious economic conditions.

Her poem “To Women” deploys irony and satire to critique gender stereotypes and domestic servitude. The seemingly didactic tone—urging women to “sit at home like hens” – reveals its subversive intent through absurd metaphors and caricatures of male privilege, exposing the exploitative dynamic at the heart of traditional family roles. Rather than upholding conservative values, the poem mocks the societal expectations imposed upon women, turning patriarchal ideology against itself.

Khositashvili also envisions feminist transformation through political imagination. In her poem “New Year’s Wish,” she imagines herself as a law-maker who proclaims women’s equality and challenges the societal tendency to reduce women to subordinate roles. The line “Let it become law: woman is equal” serves not only as poetic expression but as an urgent call for legislative and structural reform.

Outside of poetry, Khositashvili’s essays and memoirs document her intellectual development, participation in feminist movements, and reflections on women’s historical subjugation. Her article “Feminism” articulates a non-antagonistic model of gender equality, promoting collaboration rather than separation between the sexes. Her memoirs provide valuable insights into the sociopolitical climate of her era and the personal sacrifices demanded of women who sought education and public engagement.

Ultimately, Babilina Khositashvili’s literary work transcends genre boundaries to serve as social document, psychological testimony, and feminist manifesto. By giving voice to women’s silent labor, emotional burden, and intellectual aspirations, her poetry challenges the invisibility of female experience and advocates for cultural, legal, and personal emancipation. Her legacy remains relevant in contemporary feminist discourse, illuminating the persistent structures of inequality while offering poetic resistance rooted in historical experience and creative integrity.

საკვანძო სიტყვები: ფემინისტური პოეზია, ბაბილინა ხოსიტაშვილი, გენდერული უთანასწორობა, ქალის სოციალური როლი

Keywords: feminist poetry, Babilina Khositashvili, gender inequality, women’s social role

XX საუკუნის დასაწყისი ქართული ლიტერატურისთვის და, განსაკუთრებით ქალ ავტორთა შემოქმედებისთვის, გარდამტეხ პერიოდს წარმოადგენს. ამ დროის ქალი ავტორები არა მხოლოდ იბრძოდნენ საკუთარი ხმისთვის ლიტერატურულ სივრცეში, არამედ მკვეთრად გამოხატავდნენ პროტესტს გენდერული დისკრიმინაციას, სოციალურ უთანასწორობასა და კულტურულ წნეხთან მიმართებით. სწორედ ამგვარად იღებდა ფემინიზმი კონკრეტულ ლიტერატურულ ფორმებს, რომლებიც ასახავდა ქალის როლს ოჯახში, საზოგადოებასა და ინტელექტუალურ სივრცეში.

1901 წელს ბაბილინა ხოსიტაშვილი საცხოვრებლად თბილისში გადავიდა და მუშაობა სტამბაში დაიწყო. 1907–1910 წლებში ის წერაკითხვის უცოდინართათვის შექმნილ საკვირაო სკოლებში ასწავლიდა. 1921 წელს ჩააბარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიურ-ისტორიულ ფაკულტეტზე და, მიუხედავად მძიმე მატერიალური მდგომარეობისა, 1929 წელს სწავლა წარმატებით დაასრულა. იმავე წლიდან ჩაერთო საბჭოთა მწერალთა კავშირის საქმიანობაში, სადაც ბიბლიოთეკის გამგედ მუშაობდა. ასევე, ჟურნალ „ჯეჯილში“ იყო კორექტორი და ექსპედიტორი, ხოლო 1936 წელს მუშაობა დაიწყო ბორჯომის რაიონის გაზეთში, როგორც ლიტმუშაკმა.

ხოსიტაშვილის პირველი ლექსი 1905 წელს დაიბეჭდა გაზეთ „მიწაში“, ხოლო შემდეგ უკვე ყოველკვირეულ გამოცემა „გლებში“. მისი პოეტური მოღვაწეობა თავდაპირველად მუშათა კლასის პრობლემებისა და სოციალური ბრძოლების ასახვას ემსახურებოდა. მოგვიანებით მისი შემოქმედება სიყვარულისა და ქალთა მდგომარეობის თემებს დაეთმო. მისი ლექსების ძირითადი მიმართულება ქალთა თანასწორობის ირგვლივ განვითარებულ საკითხებს ეხება.

ხოსიტაშვილი თავის ნაშრომებში განსაკუთრებული ყურადღებით განიხილავდა ისეთ ტაბუირებულ თემებს, როგორებიცაა მავიაჟი, პროსტიტუცია, თავისუფალი სიყვარული და რეპროდუქცია. მისი ხელნაწერებიდან ჩანს, რომ იგი თვალს ადევნებდა გლობალურ ფემინისტურ პროცესებს – სუფრაჟიზმსა და ქალთა ემანსიპაციის იდეებს – და მათ პარალელს ავლებდა საქართველოში მიმდინარე სოციალურ ცვლილებებთან.

აღნიშნულ სტატიაში ყურადღებას გავამახვილებთ ლექსებზე, რომლებშიც აშკარაა ფემინისტური პერსპექტივები, ასევე შევეცდებით გავაანალიზოთ და უკეთ გამოვკვეთოთ სხვადასხვა საკითხი. მისი ნაწარმოებები არა მხოლოდ იმდროინდელ ქალთა მდგომარეობის

ასახვასა და მათთვის ბრძოლას მოიცავს, არამედ ტრადიციული ღირებულებების გადაფასებასაც. ხოსიტაშვილის პოეზია, გარკვეულწილად, კვლავ საინტერესოა დღესაც, რადგან მის ლექსებში განხილული საკითხები ჯერ კიდევ მნიშვნელოვანია თანამედროვე საზოგადოების ცალკეული სეგმენტებისათვის.

პირველ რიგში, გვინდა განვიხილოთ ლექსი „მარტო“, რომელიც ეხმიანება ქალთა საკითხს და, ზოგადად, იმ ეპოქის დამოკიდებულებას ქალებისადმი. მოცემულ ტექსტში ავტორი აღწერს საკუთარ მარტოობას, ვინაიდან მხოლოდ მარტო დარჩენილს ძალუძს აიღოს ლექსების რვეული და დაიწყოს წერა. ნაწარმოებიდან ჩანს, რომ ავტორს ხიბლავს შემოქმედებითი პროცესი და ხშირად სურს იყოს მარტო, რათა არავინ აურიოს „ფიქრთა დენა“. ლექსში გამოიკვეთა საზოგადოების ნიჰილისტური დამოკიდებულება შემოქმედთა მიმართ:

*„თუ დავეკარგე თვალებზე ბედას
და შთაგონების, განცდების ნაცვლად
ბორკილიდა მხვდა მე შემოქმედსა!“
(ხოსიტაშვილი, 2018, გვ.118)*

ეს დამოკიდებულება უფრო მწვავედება, როცა საქმე ეხებათ ქალ მწერლებს. იმ ეპოქაში, რომელშიც ქალს არ ჰქონდა უფლებები და არ მიიჩნეოდა სრულფასოვან არსებად, რა თქმა უნდა, ლიტერატურული მოღვაწეობის სურვილი მათი მხრიდან, ხმამაღალი განაცხადი იყო. ყოველივე ეს კარგად ჩანს მოცემულ სტროფში:

*„ვინ დედაკაცი, ვინ შემოქმედი?
ვინ დედაკაცი! – იტყვის სოფელი;
დიდხანს და დიდხანს იხითხითებენ
მამაკაცი და მეფისტოფელი“
(ხოსიტაშვილი, 2018, გვ.118).*

ტექსტის ლირიკული სუბიექტი – ქალი პოეტი – მარტოობაში პოულობს იმ ერთადერთ სივრცეს, სადაც მას შეუძლია თავისუფლად გამოხატოს საკუთარი ფიქრები. მისი „ლექსების რვეული“ თითქმის წმინდა ობიექტად აღიქმება, რომელიც იმალება სამყაროს თვალთაგან ისე, როგორც „ნაქურდალი“ ან „ნაპარავი“, რაც მიგვითითებს თვითგამოხატვის ქმედების დანაშაულებრივად აღქმაზე იმ სოციალურ გარემოში, სადაც ქალ შემოქმედს არ აღიარებენ.

ლექსში ნათლად იკვეთება შინაგანი წინააღმდეგობა პიროვნულ მისწრაფებებსა და გენდერულად კოდირებულ მოლოდინებს შორის. ტრადიციული საზოგადოება, რომელსაც განასახიერებს „სოფელი“, არათუ არ იღებს ქალს შემოქმედად, არამედ მას დასცინის („*ვინ დედაკაცი, ვინ შემოქმედი!... იხითხითებენ მამაკაცი და მეფისტოფელი*“). ამ გზით ხოსიტაშვილი აკრიტიკებს საზოგადოებრივ სისტემას, სადაც ქალის სულიერი განცდები, შთაგონება და ინტელექტუალური პოტენციალი ხვდება დაბორკილებას და განდევნილია საჯარო სივრციდან.

ლექსის სტრუქტურა – რვეულის გახსნის აქტით დაწყებული და მისივე დახურვით დასრულებული – ქმნის ციკლურობას, რომელიც გამოხატავს იმედისა და მარცხის დინამიკას. ქალი იწყებს წერას იმ ილუზიით, რომ მარტოობა დაუშვებს შთაგონებას, თუმცა სწრაფადვე ხვდება, რომ სოციალურად ის უკვე გარიყულია. ლექსი სრულდება იმედგაცრუებით: ის აღარასოდეს გახსნის „*ლექსების რვეულს*“, რადგან „*შემოქმედს აღარ დამიძახებენ*“.

ეს ტექსტი მკვეთრად გამოხატავს იმ ეპოქაში ქალის შემოქმედებითი თვითგამოხატვის საშიშროებას, თვითცენზურასა და შიშს. ამავდროულად, ლექსი სევდიანად მიუთითებს იმ მტკივნეულ რეალობაზე, როცა ქალი იძულებულია უარყოს საკუთარი შემოქმედებითი ბუნება მხოლოდ იმიტომ, რომ საზოგადოება მას ამის უფლებას არ აძლევს. ხოსიტაშვილის ეს პოემა წარმოადგენს ქალის დამუწვავილი ხმის პოეტურ ჩანაწერს, რომელიც აგრეთვე ერთდროულად არის როგორც ემოციური აღსარება, ისე პოლიტიკური განცხადება გენდერული უთანასწორობის წინააღმდეგ.

აუცილებლად უნდა ვახსენო 1912 წელს დაწერილი ლექსი „ხლართი“, რომელიც ასახავს ქალის შინაგან მტკივნეულ მდგომარეობას, ვინაიდან დაკავშირებულია ოჯახში დაკისრებულ მოვალეობასთან, მორჩილებასა და პიროვნული თავისუფლების უქონლობასთან. ტექსტში ავტორი მონობის სიმბოლოდ იყენებს „*ხლართს*“ – ცხოვრების, მოვალეობებისა და ტრადიციული ჩარჩოების ისეთ კვანძად ქცეულ ძაფს, რომლის ამოხსნა გაუსაძლისად რთულია. სწორედ ეს ხლართი წარმოადგენს იმ სოციალურ რეალობას, რომელიც ქალს დედობისა და საოჯახო ფუნქციების შესრულებით აბამს და ართმევს პირად სივრცეს, თავისუფლებას, სიხარულსა და სიცოცხლის სტიმულს.

ლექსი ემოციურად მძიმეა. უკვე პირველ სტროფში მკითხველი ხვდება ავტორის მორალურ და ფიზიკურ დაღლილობას:

*„ვერ ამოვქსელე, დავიღალე და
აღარაისთვის აღარ ვისწრაფი“
(ხოსიტაშვილი, 2018, გვ.126).*

ეს სიტყვები გამოხატავს იმედგაცრუებას. ავტორის სულიერი მდგომარეობა გაჯერებულია კაემნითა და დუმილით, რაც სიმბოლურად აჩვენებს, როგორ უკარგავს ტკივილი ქალს თავის გამოხატვის შესაძლებლობას: „დუმილსა ვრჩეობ, კარგს ვერას გეტყვი“. ის თითქმის ცდილობს იპოვოს სიტყვები, მაგრამ სევდა და ტკივილი ენას ქვას ადებს.

ხოსიტაშვილი ლექსში უარყოფს მხიარულებისა და ბედნიერების პოტენციალს – თითქმის ეს გრძნობები ქალისთვის მიუღწეველი გახდა იმ საზოგადოებრივ რეალობაში, სადაც ის ცხოვრობს. სევდა და კაემანი არამხოლოდ შინაგან მდგომარეობას აღწერს, არამედ თითქმის ფიზიკურ ძალებად იქცევა:

*„სევდამ დაახშო სიმხიარულე
და კაემანმა დაქოლა ქვებით“
(ხოსიტაშვილი, 2018, გვ.126).*

კაემანი პოეტისთვის რეალურ ძალად, მჩაგვრელ ინსტანციად იქცევა, რომელიც თავისუფალ სიცოცხლეს ანადგურებს.

ლექსში მკაფიოდ იკვეთება ქალის ემანსიპაციის მოთხოვნა. განსაკუთრებით საგულისხმოა სტროფი, სადაც ავტორი არ მალავს სურვილს, რომ საკუთარი განცდები შვილებსაც კი გაუზიაროს: „ღამის შევჩვილო პატარა შვილებს“ – ეს სტრიქონები ხაზგასმით აჩვენებს შინაგანი ძალების ამოწურვას, რომლის გადასალახად ქალს აღარ ჰყოფნის ძალა და მხოლოდ ჩივილი რჩება. ტექსტი ამგვარად ქმნის ძლიერ ფემინისტურ განცხადებას იმდროინდელ საზოგადოებაში ქალის უჩინარობის, ემოციური მონობისა და თვითწარმოჩენის უუნარობის შესახებ.

ხოსიტაშვილი მკვეთრად ეხმიანება გენდერულ უთანასწორობას – მისი პოეზია სვამს ერთგარ კითხვებს ქალის როლის, სექსუალობის, ვალდებულებების, სურვილებისა და თავისუფლების შესახებ. ლექსი „ხლართი“ ამ კონტექსტში არა მხოლოდ სევდიანი აღსარებაა, არამედ პოლიტიკური განაცხადიც – ქალის სიტყვა, რომელიც იმდროინდელ საზოგადოებას უპირისპირდება და სიჩუმის ნიღაბს ხდის.

საგანგებო ყურადღებას იმსახურებს ბ. ხოსიტაშვილის ერთ-ერთ ლექსი „ჩემი ფიქრები ახალ წელს“, რადგან ამ ნაწარმოებში მწერალმა

პირდაპირ გამოთქვა თავისი სურვილი, ყოფილიყო კანონების შემქმნელი და დაემკვიდრებინა ახალი რეალობა, რომელშიც დედაკაცი იქნებოდა თანასწორი საპირისპირო სქესისა:

*ვთქვა, დედაკაცი არს თანასწორი,
ვთქვა, დედამ მოგვცა გმირი მებრძოლი,
ვთქვა, ნუ შერიცხავთ დედაკაცს მონად?!
ვთქვა და აღსრულდეს, იქმნას კანონად!
ახალი წელი მაშინ იქნება,
როს აღვასრულო ჩემი იქ ნება
(ხოსიტაშვილი, 2018, გვ.122).*

ბაბილინა ხოსიტაშვილის ლექსი მკვეთრად გამოხატავს ქალის სოციალური და ფემინისტური თვითშეგნების საკითხს. ტექსტში ავტორი წარმოიდგენს თავს კანონების შემქმნელად, რაც მისწრაფებაა სოციალური წესრიგის შეცვლისა და ქალის ხმის ლეგიტიმაციის მოთხოვნისა. სტრიქონები – „რომ ვწერდე ახლად ახალ კანონებს“ და „რომ უუფლებო არ ვიყო ჯერაც“ – წარმოაჩენს ავტორის ტკივილსა და პროტესტს ქალის მარგინალიზებული მდგომარეობის მიმართ.

ლექსის ბირთვი დაფუძნებულია თანასწორობის იდეაზე: „ვთქვა, დედაკაცი არს თანასწორი“ – აქ ქალი არ არის მხოლოდ ოჯახური ფიგურა, არამედ მებრძოლისა და გმირის აღმზრდელი. ხოსიტაშვილი აპროტესტებს ქალის მონობის წარსულს და მოითხოვს, რომ მისი სიტყვა იქცეს კანონად – არა მხოლოდ სიმბოლურად, არამედ პირდაპირი მნიშვნელობით.

ლექსი მთავრდება სიმბოლური წარმოდგენით „ახალი წელი მაშინ იქნება, როს აღვასრულო ჩემი იქ ნება“, რაც მიუთითებს, რომ საზოგადოებრივი განახლება მხოლოდ მაშინ დადგება, როცა ქალის ნება რეალურად აღსრულდება.

ხოსიტაშვილის პოეზია აქ ფემინისტური მანიფესტის სახეს იღებს – ეს არის მოწოდება, რომ ქალი გახდეს არა მხოლოდ სიტყვით მქადაგებელი, არამედ აქტიური მოქმედების სუბიექტი – თანასწორი, თავისუფალი და აღიარებული.

უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ ბაბილინასთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ოჯახსა და ცოლქმრულ ურთიერთობას. აქაც ისევე, როგორც სხვა სფეროებში, დიდ როლსა და უპირატესობას ქალს ანიჭებდა, სწორედ ესაა მიზეზი მისი დიდაქტიკისა, რაც ქალებისადმი მიძღვნილ თითქმის ყველა ლექსში ჩანს. დავაკვირდეთ ლექსს „ქალებს“:

*„ოჯახს უფრთხილდით, ქალებო
სახლში დასხედით კრუხებად:
თუ თქვენ არ მოჰგვით კერასა,
კაცებს რა შეეწუხებათ?
ოჯახს უფრთხილდით, ქალებო!
კაცების საბუდარია:
შეფრინდებიან, როცა წვიმს,
გარბიან, როცა დარია“*
(ხოსიტაშვილი, 2018, გვ.119).

მოცემული ლექსი სატირაა, რომელშიც ბაბილინა ქალებს სიფრთხილისა და ოჯახის შენარჩუნებისკენ მოუწოდებს, რადგან ის ქალებს ოჯახის მამოძრავებელ ძალად მიიჩნევს.

დიახ, ერთი შეხედვით შეიძლება ლექსი აღვიქვათ როგორც დიდაქტიკური მოწოდება ქალებისკენ – „ოჯახს უფრთხილდით“, „სახლში დასხედით“ და ა.შ. თუმცა, ტექსტის ტონი, სტრუქტურა და განსაკუთრებით მეტაფორების შერჩევა (*მაგალითად, „კრუხებად“, „საბუდარია“, „შეფრინდებიან... გარბიან...“*) მიგვითითებს, რომ ბაბილინა ხოსიტაშვილი ამ ფრაზებით ირონიულად ამხელს იმ პატრიარქალურ შაბლონებს, რომლებიც ქედმოხრილ ქალს იდეალად წარმოაჩენს.

დავაკვირდეთ კონკრეტულად:

„სახლში დასხედით კრუხებად“ – „კრუხი“ არ არის ნეიტრალური ან პოზიტიური მეტაფორა. ის უთითებს უმოქმედო, მხოლოდ მოფრთხილებაზე ორიენტირებულ არსებაზე. ქალი „კრუხად“ – ეს უკვე ნეგატიური ტონალობის სარკაზმია და არა რეალური მოწოდება.

„კაცების საბუდარია“, „შეფრინდებიან, როცა წვიმს, / გარბიან, როცა დარია“ – აქ კაცის როლი მკვეთრად ნეგატიურად არის დახასიათებული. ის მოდის მხოლოდ კომფორტის მიზნით და ტოვებს ოჯახს როგორც კი გარეთ „დარია“, ანუ ყველაფერი კარგადაა.

თუ ავტორი მართლა სერიოზულად მოუწოდებდა ქალებს ოჯახის ერთგულებისკენ, მაშინ ტექსტის ტონი იქნებოდა პატივსაცემი, სოლიდური, არა კრიტიკული და, რაც მთავარია, არ იქნებოდა ასეთი მახვილი სიმეტრია – ქალი „კრუხი“, კაცი – წვიმის დროს შეფრენილი და მზიან ამინდში გაქცეული.

ასე რომ, ანალიზის შედეგად – დიახ, ვართ საკმაოდ დარწმუნებული, რომ ლექსი ირონიულად უარყოფს ტრადიციულ სქესობრივ როლებს და მხილება, და არა პირდაპირი მოწოდება მორჩილებაზე,

თუმცა ლიტერატურაში ყოველთვის რჩება ადგილი ინტერპრეტაციისთვის – თუ მკითხველი გადაიხრება ტექსტის ზედაპირული დიდაქტიკური შრისკენ, ესეც მნიშვნელოვანია, რადგან ეს ნიშნავს, რომ ავტორი ერთდროულად თამაშობს ფორმითა და ტონით, რაც ტექსტს მეტ ღირებულებას სძენს.

ეპოქის კონტექსტისა და ბაბილინა ხოსიტაშვილის ნაწარმოებების თავისებურებების, მისი შემოქმედების თემატიკისა და პრობლემატიკის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, შეიძლება ითქვას, რომ ქალი-მწერლის პოეზია წარმოადგენს არა მხოლოდ ქართული ლიტერატურის განუყოფელ ნაწილს, არამედ – ფემინისტური და სოციალური იდეების პოეტურ გამოხატულებას. მისი ლექსები აშკარად გამოხატავენ როგორც ტრადიციულ, ისე თანამედროვე შეხედულებებს, ხაზს უსვამენ ქალთა საზოგადოებრივ მდგომარეობასა და უფლებებისათვის ბრძოლას.

ბ. ხოსიტაშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ქალთა როლს ოჯახში, შრომასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მის ლექსებში ნაჩვენებია ის მოლოდინები, რომლებიც იმდროინდელი ქართული საზოგადოებისგან ქალების მიმართ არსებობდა. ლექსში „ქალებს“ (სატირა) ავტორი სარკასტულად ეკითხება ქალებს, თუ როგორ შეასრულებენ თავიანთ როლს ოჯახში, თუ ისინი კაცებს მოახლეობით არ მოემსახურებიან. პოეტი ქალის ტექსტებში ხაზგასმულია ტრადიციული გენდერული როლების არალოგიკურობა და მათი დამამცირებელი ხასიათი. ეს ლექსი ირონიას იმ სტერეოტიპული წარმოდგენების მიმართ, რომელთა მიხედვითაც ქალები მხოლოდ ოჯახური „დავალებების“ შემსრულებლები არიან.

ბ. ხოსიტაშვილის პოეზიაში კარგად ჩანს ქალთა შრომის დაუფასებლობა და ექსპლუატაცია. ის მიმართავს მდედრობით სექსს, როგორც შრომის სუბიექტს, ადამიანს, ვისაც ტრადიციული საზოგადოება არაფრად მიიჩნევს. ქალების ფიზიკური და სულიერი შრომა, რომელიც კაცების შრომასთან შედარებით ნაკლებად ფასდება, მისი ნაწარმოებების ცენტრალური თემაა. სოციალური კლასების და გენდერული უთანასწორობის გადაკვეთა მკაფიოდ იგრძნობა მის ლექსებში, რომლებიც მუშათა კლასის ქალებზეა ორიენტირებული. ამის შესანიშნავი მაგალითებია „დედის სიმღერა“ და „დედის თვალები“, სადაც ხაზგასმულია დედების შრომის უხილავი, მაგრამ გადამწყვეტი როლი.

პოეტი ხშირად აშკარად აკრიტიკებს იმდროინდელ ტრადიციულ ღირებულებებს, რადგან ეს ღირებულებები ქალებს არ აძლევდნენ თა-

ვისუფლად განვითარების საშუალებას. ავტორი სატირული ტონით, ხან კი – იუმორით მკვეთრად აღწერს იმ შეზღუდვებს, რომლებიც ქალებს თავიანთი ნების გამოვლენაში უშლიდა ხელს. მდედრობითი სქესის სილამაზე და გარეგნობა, როგორც საზოგადოების ქმედების საზომი, ასევე მათდამი მონური დამოკიდებულება ოჯახის მიმართ და ამისგან გათავისუფლების აუცილებლობა, მის ნაწარმოებებში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს.

ბაბილინა ყოველდღიურ ცხოვრებაში აქტიურად აკვირდებოდა მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს – ფემინისტურ მოძრაობას და ცდილობდა, პარალელი გაეწყო ქვეყანაში მიმდინარე პროცესებთან. მისი აზრით, საჭირო იყო ქალის ეკონომიკური დამოუკიდებლობა, რათა ქალები საბოლოოდ გათავისუფლებულიყვნენ პატრიარქატის წნეხისგან. იგი საუბრობს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა ოჯახი, შვილის აღზრდა, დედობის სირთულეები და სხვა პრობლემები, რომლებიც აერთიანებდათ იმ ეპოქაში მცხოვრებ ქალებს.

რაც შეეხება დედის როლს ბაბილინას შემოქმედებაში, მის ნაწარმოებებში დედა ყოველთვის მზრუნველ და პასუხისმგებელიან პიროვნებად არის დახატული. იგი დილას შვილებზე ზრუნვით იწყებს, ხოლო დღის დანარჩენ მონაკვეთს საშინაო საქმეებს უთმობს, მიდის ბაზარში, სამსახურსა და სასწავლებელში. ამ ყოველივედან ჩანს, რომ დედა რთულ ყოფაშია. ლექსებში „დედის თვალი“ და „დედის სიმღერა“ აღწერილია დედების მძიმე ჯაფა და ბრძოლა შვილების უკეთესი მომავლისათვის.

თუ დავუკვირდებით ბაბილინა ხოსიტაშვილის შემოქმედების თემატიკას, კერძოდ კი მისი ლექსების პერსონაჟ ქალებს, აღმოჩნდება, რომ ხშირ შემთხვევაში ჩანს ქალთა დაუდალავი, რთული ცხოვრება, რომელსაც თან ერთვის ეპოქის გამოწვევები. მისი ერთ-ერთი ლექსი „დედა სამუშაოზე“ ნათელი მაგალითია მწვავე განცდებისა და ქალის უმწურო ცხოვრებისა:

*„მძინარე ბავშვი ჩაკვეტე სახლში,
სამუშაოზე გამოველ დედა, –
ის გაიღვიძებს და ბევრს იტირებს,
ჩამოვარდება, დამახინჯდება...“*
(ხოსიტაშვილი, 2018, გვ.123).

ხოსიტაშვილის ეს ლექსი არის თანამედროვე ქართული ფემინისტური პოეზიის ერთ-ერთი გამორჩეული ნიმუში, რომელიც ასახავს ქალის – კონკრეტულად კი დედის – სოციალურ მდგომარეობას, შინაგან კონფლიქტსა და ფსიქოემოციურ დაძაბულობას ყოველდღიური ყოფის პირობებში. ტექსტი გადმოსცემს ქალის მტკივნეულ რეალობას, რომლისთვისაც დედობა პარალელურად სიყვარულისა და პასუხისმგებლობის, ასევე შიშისა და შფოთვის წყაროა. უკვე პირველი სტრიქონებიდან იკვეთება მძიმე არჩევანი, რომელიც დედას უწევს – შვილის დატოვება და შრომით ბაზარზე ყოფნა ოჯახური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ლექსის დასაწყისში დედა ტოვებს მძინარე ბავშვს სახლში და სამუშაოდ მიდის, რითაც იკვეთება ქალის სოციალური და ეკონომიკური ლიმიტირებულობა, მისი უუნარობა, დააკმაყოფილოს ორივე აუცილებელი ვალდებულება – დედობა და ოჯახის მატერიალური უზრუნველყოფა.

*„ის გაიღვიძებს და ბევრს იტირებს,
ჩამოვარდება, დამახინჯდება“
(ხოსიტაშვილი, 2018, გვ.123).*

ეს სტრიქონი გამოკვეთილად ასახავს ქალის შიშს, რომ შვილის უპატრონობამ შეიძლება ფიზიკური ზიანი გამოიწვიოს, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს პასუხისმგებლობის ტვირთს და შფოთვით დატვირთულ მდგომარეობას. დედის ტკივილი მიგვიყვანს მძაფრ კონფლიქტამდე: ღირიკული გმირი თავს უუნაროდ და განწირულად გრძნობს, რაც გადმოიცემა სიტყვებით:

*„მე იმა დედას შევნატრი ახლა,
ვისაც თაროზე პური ექნება“
(ხოსიტაშვილი, 2018, გვ.123).*

აქ პური სიმბოლურად ასახავს მინიმალურ კეთილდღეობას, რაც თავად ავტორისთვის ხელმიუწვდომელია, ხოლო შურით წარმოქმული სიტყვები ხაზს უსვამს სოციალურ უთანასწორობასა და ქალთა გაჭირვებას.

ლექსის მეორე ნახევარი ემოციური დაძაბულობის კულმინაციას წარმოადგენს – დედა უკვე ვეღარ უმკლავდება საკუთარ ფიქრებს, ტანჯვასა და დატვირთვას. ფრაზები:

*„ცრემლი მერევა, გავრბივარ, ვმღერი“
და „ახლა ვივინი... და ესღა მაკლდა –
ნუთუ დამიდგა სიგიჟის ჯერი!“
(ხოსიტაშვილი, 2018, გვ.123).*

წარმოაჩენს ფსიქიკური გამოფიტვის ნიშნებს. სიცილი და სიმღერა აქ უკვე არ არის სიმსუბუქის ან იუმორის გამოხატულება, არამედ ფსიქოლოგიური გადატვირთვის, აფექტური მდგომარეობის ნიშანი – სასოწარკვეთილებით გამოწვეული ნერვული რეაქცია. ლექსი სრულდება შფოთვითა და აზრების დარაზმვის უუნარობით:

*„ფიქრმა დამღალა თუ მუშაობამ,
აზრები აღარ ირკვევა თავში“
(ხოსიტაშვილი, 2018, გვ.123).*

რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმგვარ სოციალურ ვითარებას, როდესაც დედა რჩება მარტო საკუთარი ტვირთითა და პასუხისმგებლობით.

ტექსტის ფორმა ლაკონიურია, რიტმი – ბუნებრივი, და სწორედ ეს ქმნის ავტორის ხელწერის ავთენტურობას. ლექსში არ არის ადგილი პათეტიკისთვის ან ხელოვნური გამომსახველობითი ფორმებისთვის – მისი ძალა იმაში მდგომარეობს, რომ რეალობას გადმოსცემს ყოველგვარი გაფერადების გარეშე, მკითხველის თვალწინ აშიშვლებს ყოველდღიურ ტრაგედიას, რომელსაც უამრავი ქალი განიცდის უხმოდ.

ამ ლექსში ბაბილინა ხოსიტაშვილი აშკარად წყვეტს ტრადიციულ ლიტერატურულ დუმილს ქალის შინაგანი კრიზისის მიმართ და ქმნის სივრცეს, სადაც ქალის ხმა – მისი შიში, დაღლა, შიმშილი, შვილის დაკარგვის შიში, აფექტური მდგომარეობა – იძენს ლეგიტიმურობას. ეს ტექსტი არ არის მხოლოდ ლიტერატურული თვითგამოხატვა – ის სოციალური დოკუმენტიცაა, რომელიც აჩვენებს ქალის მიტოვებულობას სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან. შესაბამისად, ხოსიტაშვილის ეს ლექსი ერთდროულად შეგვიძლია განვიხილოთ როგორც სოციალური კომენტარი, ფსიქოლოგიური დოკუმენტი და ფემინისტური მანიფესტი, რომელიც მკითხველს ავალდებულებს ჩაფიქრდეს იმ უხილავ და ხშირად უჩინარ ტკივილზე, რომელსაც მრავალი დედა ატარებს საკუთარი ყოველდღიურობის ჩუმ სივრცეში.

ვინაიდან შევეხეთ დედის თემას, აუცილებლად უნდა ვახსენოთ ლექსი „დედის სიმღერა“ (1914), რომელიც ნათლად გადმოსცემს ქალის როლს საზოგადოებაში, მის შინაგან სულიერ მდგომარეობას, მსხვერპლს, ტკივილსა და ერთდროულად უდიდეს სიყვარულსა და იმედს მომავალი თაობის მიმართ. პოეტი მოგვითხრობს საკუთარ გარდასახვაზე: ოდესღაც იყო რჩეული, ღვთაებრივი შთაგონებით აღსავსე პოეტი, რომლის ლექსის წმინდა ჰანგს თავად ბრძოლის ღმერთი უმღერდა. ეს სახე სიმბოლურად გამოხატავს პოეტის ახალგაზრდობისას შემოქმედებით ძალას, იდეალისტურ რწმენას და საზოგადოებრივი აქტიურობის პათოსს:

*„ერთ დროს ვიყავ რჩეული, აპოლონი მწყალობდა,
ჩემი ლექსის წმინდა ჰანგს ბრძოლის ღმერთი გალობდა“*
(ხოსიტაშვილი, 2018, გვ.121).

თუმცა ეს ძალა თითქოს დროებით მიჩქმალულია – ახლა ის დედაა, ისეთივე, როგორც სხვა, და საკუთარ თავს უკვე „ტყვედ“ აღიქვამს. ეს „ტყვეობა“ არ არის მხოლოდ ოჯახური ყოფის აღწერა, არამედ პოეტურად გადმოცემული შინაგანი მდგომარეობა – ცნობიერების ჩარჩოებში მოქცევა, რომელიც გამოწვეულია სოციალური როლით, რაც ქალს აკისრია:

*„შვილო, ახლა დედა ვარ,
მეც როგორც სხვა ტყვედა ვარ!
მხოლოდ გიმღერ ნანასა,
ვით ნიავი ყანასა“*
(ხოსიტაშვილი, 2018, გვ.121).

დედა ბავშვს უგალობს ნანას, თბილი ტონით, თითქოს უმანკო და სიმშვიდით სავსე, თუმცა ამ სიმღერაში ჩნდება სევდა — შიშიც მომავლისა და იმისაც, რომ შვილს შეიძლება იგივე ბედი ეწიოს: სიღარიბე, სიმკაცრე, ქარ-სიცივე. ის უყვება შვილს ზღაპარს წართმეულ უფლებებზე, რითაც ბავშვის აღზრდას აძლევს არა მხოლოდ ალერსიან, არამედ ცნობიერების ფორმირების შინაარსსაც. იმედით და სურვილით აღსავსე დედა ოცნებობს, რომ შვილი ქვეყნის მხსნელი იქნება, თუმცა ამავე დროს ეჭვობს საკუთარი ოცნებების არარეალურობასაც – „არა, არ გამიმტყუნო სასახელო ფიქრები“ – თითქოს ეჭვის თესლიც იფანტება ამ რწმენაში.

ლექსი თანდათან გადადის დროის ციკლებზე – გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი – რაც ბავშვის ზრდისა და განვითარების მეტაფორად გვევლინება. დედა შვილის გზას ცოდნით, სიბრძნითა და ღირსებით ავსებს. ის სთავაზობს სწავლას, ზნეობრივ ძალას, სოლომონურ სიბრძნეს და მომავლის იმედს. ამ გზით ბავშვის მიერ მიღწეულ წარმატებაში დედაც საკუთარ წვლილს ხედავს. ზამთარში, როგორც ცხოვრების ბოლოს, შვილის მიერ მოპოვებული „სპეტაკის გვირგვინი“ დედის მსხვერპლისა და იმედის სიმბოლოდ გადაიქცევა. აქ მეფისეული პორფირა წარმოადგენს იმ აღიარებას, რომელიც დედის შრომასა და თავდადებას აზრს მისცემს.

„დედის სიმღერა“ არის არა მხოლოდ სინაზით აღსავსე ლექსი შვილისადმი, არამედ ინტელექტუალურ და იდეოლოგიურ საფუძველზე აგებული ტექსტია, რომელიც ასახავს ქალის ბრძოლას ღირსებისთვისა და განათლებისთვის. ვფიქრობთ, ეს არის იმ ეპოქის ქართულ პოეზიაში უნიკალური ხმა, რომელიც ქალის გამოცდილებას არა მეორეხარისხოვნად, არამედ ისტორიულად მნიშვნელოვან გზავნილად წარმოაჩენს.

ბაბილინა ხოსიტაშვილის პოეზია და საზოგადოებრივი მოღვაწეობა XX საუკუნის დასაწყისის ქართული ლიტერატურისა და სოციალური აზროვნების უმნიშვნელოვანეს ფენომენს წარმოადგენს. მისი შემოქმედება არა მხოლოდ ქალის სოციალური მდგომარეობის და გენდერული უთანასწორობის პოეტური ქრონიკაა, არამედ, ამავედროულად, ქმედითი, პროგრესული ფემინისტური დისკურსის ნაწილი, რომელიც ქალთა ინტელექტუალური, ემოციური და სოციალური თვითგამოხატვის სივრცეს ქმნის.

საინტერესო იქნება, თუ შევადარებთ ამ პერიოდის ქალთა შემოქმედებას საპირისპირო სქესის მწერლობას. აღმოჩნდა, რომ მამაკაცი მწერლები ძირითადად მიმართვდნენ უნივერსალურ, ფართო მასშტაბის თემებს. მათი ტექსტები ასახავდა ეროვნულ-ისტორიულ საკითხებს, თავისუფლებასა და ქვეყნის ბედის საკითხებს. მათგან განსხვავებით კი, ქალებმა შემოიიტანეს ინდივიდუალური გამოცდილება და ფემინისტური ხედვა.

ხოსიტაშვილის ლექსები, პიესები, პუბლიცისტიკა და მემუარები ერთმანეთთან ორგანულად იკვეთება საერთო მიზნის – ქალთა ემანსიპაციისთვის ბრძოლის – ფარგლებში. მისი ნაწარმოებები ცხადად წარმოაჩენს იმ ეპოქის ქალთა ყოველდღიურ ტკივილებს,

შიშებს, შრომას, ბრძოლასა და ოცნებებს იმაზე უკეთესი მომავლის შესახებ, სადაც ქალის ხმა აღიარებული და პატივსაცემია.

ხოსიტაშვილის შემოქმედებაში თანხვედრილია სატირა და ირონია, ტრაგიზმი და იმედის სხივი, რაც მძლავრ იდეოლოგიურ იარაღად იქცევა საზოგადოების პატრიარქალური სტრუქტურების წინააღმდეგ. მისი პოეზია აღწევს მკითხველამდე არა მხოლოდ როგორც ესთეტიკური ნიმუში, არამედ როგორც სოციალური მანიფესტი, რომელიც მკაფიოდ აყენებს ქალთა უფლებებისა და თანასწორობის საკითხებს. იგი ფემინისტურ იდეებს ნერგავს არა მხოლოდ ტექსტის შინაარსით, არამედ თვით ფორმითაც – ქალის ხმას ლეგიტიმურ პოეტურ სუბიექტად აქცევს, რომელსაც აქვს უფლება, თქვას სიმართლე, გამოხატოს ტკივილი, გააპროტესტოს უთანასწორობა და იოცნებოს ცვლილებაზე.

ბაბილინა ხოსიტაშვილის ტექსტები კვლავ აქტუალურია თანამედროვე საზოგადოებისთვის. მისი ნაწარმოებები გვახსენებს, რომ გენდერული თანასწორობის მიღწევა მრავალმხრივი და ხანგრძლივი პროცესია, რომელშიც ლიტერატურასა და ხელოვნებას უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია. ხოსიტაშვილის პოეზია არა მხოლოდ ისტორიული დოკუმენტია, არამედ ცოცხალი მოწოდებაა იმ ღირებულებების კენ, რომლებიც დღესაც საჭიროებს დაცვას – ქალთა თავისუფლება, ღირსება და თანასწორობა. მისი სიტყვები აერთიანებს წარსულსა და თანამედროვეობას და გვახსენებს, გავაგრძელოთ ფიქრი და მოქმედება საზოგადოებაში არსებული გენდერული უსამართლობის დაძლევის გზებზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ჩიხლაძე, ნ. (1990). ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ქალები. თბილისი: „საქართველო“.
- ხოსიტაშვილი, ბ. (2018). ცხოვრება ორ წყალს შუა. შემდგენლები: ქრისტინე კუხიანიძე, ლანა მუშკუდიანი, თამარ ნოდარიშვილი და სხვები. თბილისი: „დეგაპრინტი“.

References:

- Chikhladze, N. (1990). Kartveli mts'erali da sazogado moq'vats'e qalebi. [Georgian women writers and public figures]. Tbilisi: „Sakartvelo“.
- Khosit'ashvili, B. (2018). Tskhovreba or ts'q'als shua. [Life between two waters]. Shemdgenlebi: Kristine K'ukhianidze, Lana Mushk'udiani, Tamar Nodarishvili. Tbilisi: “Degap'rint'i”.